ხელშეკრულება
სამოგზაურო დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

თბილისი

23 თებერვალი, 2026 წელი

ერთი მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L" (შემდგომში - „**კომპანია**") წარმოდგენილი გაყიდვების დირექტორის, არასამედიცინო დაზღვევისა და საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი **ნათია ანასტასიადის** და მეორე მხრივ **შპს „ტპგ კორპორაცია"** (შემდგომში- **„აგენტი"**) წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე აბესლამიძის მიერ,** აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას სამოგზაურო დაზღვევის სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ, (შემდგომში „ხელშეკრულება") რომლის ფარგლებშიც თანხმდებიან შემდეგზე:

მზღვეველი - სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008);
აგენტი - პირი, რომელიც მოქმედებს, მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და რომლის საშუალებითაც ხორციელდება დაზღვეულ პირთა. წინამდებარე სამოგზაურო დაზღვევის პირობების შესაბამისად დაზღვევა.
დამზღვევი - პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან.
დაზღვეული - სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული პირი, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა დაზღვევა.
სამოგზაურო დაზღვევის პოლისი - დოკუმენტი რომლის შესაბამისადაც დასტურდება, პოლისში მითითებული დაზღვეული პირის, სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად დაზღვევის ფაქტი.
სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები - მზღვეველის მიერ წინამდებარე სამოგზაურო დაზღვევისათვის განსაზღვრული პირობები.
სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება - სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობებისა და სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ერთობლობა;
სადაზღვევო პრემია - სამოგზაურო დაზღვევის პოლისით განსაზღვრული, სამოგზაურო დაზღვევის შეძენისათვის გათვალისწინებული საზღაური;
პორტალი - მზღვეველის ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებითაც აგენტი ახორციელებს, სამოგზაურო დაზღვევის პოლისების, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად რეალიზაციას;

1. **ხელშეკრულების საგანი.**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, აგენტი მზღვეველის მიერ განსაზღვრული სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) პირობების შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სურვილის მქონე საზღვარგარეთ გამსვლელ პირთა, დაზღვევას წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-სა და წინამდებარე ხელშეკრულების 3-ე მუხლით გათვალისწინებული ტარიფების შესაბამისად.

1.2 *<u>"სამოგზაურო დაზღვევის პირობები" განთავსებულია მზღვეველის ვებ გვერდზე და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</u>*

1.3 ,აგენტი, მოთხოვნის შესაბამისად გასცემს სამოგზაურო დაზღვევის პოლისს,(შემდგომში - პოლისი) სადაც დეტალურად მიეთითება დაზღვეული პირის ვინაობა, სამოგზაურო დაზღვევისათვის განსაზღვრული პრემიის ოდენობა, სადაზღვევო პერიოდი და ინფორმაცია სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესახებ.

1.4 სამოგზაურო დაზღვევის პოლისი არის მაიდენტიფიცირებელი უნიკალური ნომრის მქონე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული დაზღვეულის სასარგებლოდ სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადების ფაქტს.

1.5 სამოგაზურო დაზღვევის სტანდარტული პირობები განთავსებულია მზღვეველის ვებ გვერდზე **<u>https://www.imedil.ge/Home/Travel</u>** თითოეული სამოგზაურო დაზღვევის პოლისის რეალიზებისას აგენტი ვალდებულია დაზღვეულს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნული სტანდარტული პირობების შესახებ და ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ამა თუ იმ დაფარვისათვის განსაზღვრული ინსტრუქციისა და ლიმიტის ფარგლებში/მიხედვით. ამასთან აგენტი ვალდებულია დაზღვეულს

ალექსანდრე აბესლამიძე

მზღვეველი | აგენტი

განუმარტოს სტანდარტული პირობების მისთვის ბუნდოვანი ან/და გაუგებარი ჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამოყენების ინსტრუქცია.

1.6 აგენტი ვალდებულია მოიპოვოს დამზღვევის ან/და დაზღვეულის თანხმობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს აღნიშნული თანხმობა მზღვეველს, მათ შორის ვალდებულია დამზღვევს ან/და დაზღვეულს გააცნოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი არ დათანხმდება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მისი მონაცემების დამუშავებას აგენტი ვალდებულია ყოველ ასეთ შემთხვევაზე მიაწოდოს ინფორმაცია მზღვეველს, რომ არ მოხდეს დამზღვევის/დაზღვეულის თანხმობის გარეშე მონაცემთა დამუშავება. იმ შემთხვევაში თუ აგენტს არ ექნება მზღვეველისთვის მიწოდებული ინფორმაცია პირის თანხმობის არ არსებობასთან დაკავშირებით და ზემოაღნიშნული მიზეზით მზღვეველს მიადგება ზიანი (მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახდელის დასკისრებით) აგენტი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი დაუყოვნებლივ და სრულად.

2. საქმიანობის განხორციელების ინსტრუქცია:

2.1 აგენტის მიერ სამოგზაურო დაზღვევის პოლისების რეალიზება ხდება ელექტრონული პორტალის საშუალებით (შემდგომში - პორტალი), აგენტი თითოეული პოლისის რეალიზებისას ავსებს პორტალში არსებულ სავალდებულო ველებს და შევსებულ პოლისს გადასცემს დაზღვეულს.

2.2 თითოეული პოლისის რეალიზებისას, პორტალში ინახება რეალიზებული პოლისის იდენტური პოლისი, დაზღვეულის მიმართვის შემთხვევაში აგენტი უფლებამოსილია ხელმეორედ გადასცეს რეალიზებული პოლისის ახალი პირი/ასლი. იმ პოლისების ასლის გაცემა რომლის მოქმედების ვადაც უკვე გასული არაა შესაძლებელი.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ აგენტის მიერ გაცემულ პოლისში დაფიქსირდება ტექნიკური ან სხვა ხასიათის შეცდომა, აგენტი ვალდებულია, დაზღვეულის განცხადების საფუძველზე, პროგრამულად/პორტალში დაუყოვნებლივ განახორციელოს აღნიშნული პოლისის პოლისის გაუქმებისას აგენტმა პორტალში უნდა ატვირთოს პოლისის ტექნიკური ხარვეზის საფუძვლით გაუქმების მოთხოვნის განცხადება. გაუქმებული პოლისის ფარგლებში გადახდილი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება აგენტის მიერ გაუქმებული პოლისის ნაცვლად გაცემულ პოლისზე გადატანას.

2.4 <u>**პოლისის რელიზებისას აგენტი ვალდებულია:**</u>

2.4.1 პოლისის გაცემამდე დეტალურად, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში გამოიკვლიოს დასაზღვევი ობიექტის კეთილსაიმედობა და მონაცემები, დაადგინოს მონაცემების სისწორე და პოლისის გაცემის შემდეგ პასუხისმგებელი იყოს ამ მონაცემების სისწორეზე.

2.4.2 შესაბამისი სადაზღვევო პოლისის გაცემამდე განახორციელოს დასაზღვევი პირის იდენტიფიკაცია და გამოართვას მას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – პასპორტი.

2.4.3 დაიცვას სრული კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგად;

2.4.4 ზუსტად დაიცვას მზღვეველის მიერ დადგენილი სამოგზაურო დაზღვევის პირობები და იმუშაოს მზღვეველის მიერ შემუშავებული დირექტივების (ინსტრუქციების) შესაბამისად;

2.4.5 მოამზადოს წინადადებები მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დასახვეწად;

2.4.6 არ გამოიყენოს ბოროტად მისთვის მინიჭებული აგენტის უფლებამოსილება;

2.4.7 მოიპოვოს დასაზღვევი ობიექტის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით), ხოლო თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მზღვეველს.

2.4.8 გააცნოს დამზღვევს/დაზღვეულს ასაკის გათვალისწნებით დაზღვევის პირობები და ის უფლებები და ვალდებულებები რომელიც მას აკისრია დაზღვევის პირობებიდან გამომდინარე.

2.4.9 შესაბამისი სადაზღვევო პოლისის გაცემამდე განახორციელოს დასაზღვევი პირის იდენტიფიკაცია და გამოართვას მას შემდეგი დოკუმენტები:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:

- როგორც დამზღვევის, ასევე, დაზღვეული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, საზღვარგარეთის პასპორტი, და ა.შ.)

2.5 <u>**აგენტი უფლებამოსილია:**</u>

2.5.1 მოთხოვოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზუსტი, შეუფერხებელი და ჯეროვანი შესრულება.

ალექსანდრე აბესაძე

მზღვეველი

აგენტი

2.6 **<u>მზღვეველი ვალდებულია</u>:**

2.6.1 მიღება-ჩაბარების გაფორმების გზით, მოთხოვნის და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს აგენტს, როგორც პოლისების, საბეჭდად განკუთვნილი ბლანკები ასევე სხვა მასალები რაც ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე გადაეცა აგენტს

2.7 **<u>მზღვეველი უფლებამოსილია</u>:**

2.7.1 მოთხოვოს აგენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზუსტი და დროული შესრულება.

2.7.2 საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიძახოს აგენტი, გამოითხოვოს მისგან დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მისცეს შესაბამისი მითითებები, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და სხვა.

3. პოლისის ტარიფები და ანგარიშსწორების წესი

3.1 სადაზღვევო პოლისის ღირებულება/სადაზღვევო პრემიის ოდენობა, ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად განისაზღვრება აგენტის მიერ პოლისის რეალიზებისას მასში მითითებული მონაცემებისა და მოთხოვნილი პროდუქტის ტიპის მიხედვით. სადაზღვევო პრემიის დაანგარიშება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებას თანდართულ დანართ #1-ში მითითებული დაზღვევას დაქვემდებარებული თითოეული დღისათვის განსაზღვრული მინიმალური ტარიფის მიხედვით.

3.1.1 აგენტის საკომისიო წარმოადგენს მზღვეველის მიერ დანართ #1-ით სამოგზაურო დაზღვევის თითოეული დღისათვის განსაზღვრულ მინიმალურ ტარიფსა და აგენტის მიერ თითოეული დაზღვეულისათვის შეფარდებულ/განსაზღვრულ ტარიფს შორის სხვაობას. საკომისიო მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს; მზღვეველი უფლებამოსილია საანგარიშო თვის განმავლობაში 4-ჯერ მოითხოვოს ანგარიშსწორება. ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტის აგენტისათვის გაგზავნიდან 5 დღის ვადაში.

3.1.2 სადაზღვევო პრემიის მზღვეველისათვის გადარიცხვა ხორციელდება აგენტის მიერ წინასწარ, პორტალში მითითებული მომხმარებლის ნომრის საშუალებით.

3.1.3 იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების დღე დაემთხვევა უქმე დღეს, აგენტი ვალდებულია, ანგარიშსწორება განახორციელოს პირველსავე სამუშაო დღეს.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების წესის/ვალდებულების დარღვევის თითოეულ ჯერზე მზღვეველი უფლებამოსილია აგენტს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4 ზიანის ანაზღაურება და საჯარიმო სანქციები

4.1 თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას, სრული მოცულობით აუნაზღაუროს მეორე (დაზარალებულ) მხარეს მის მიერ მიყენებული ზიანი.

4.2 იმ შემთხვევაში თუ მზღვეველისათვის დაზღვეული პირის მიერ წარდგენილი იქნა პოლისი, რომელიც პორტალში არსებული ინფორმაციის შესაბამისად გაუქმებულია აგენტის მიერ, მზღვეველი უფლებამოსილია თითოეულ ჯერზე დააკისროს აგენტს პირგასამტეხლო 1,000.00 (ათასი ლარი) ლარის ოდენობით, ასევე აგენტის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება, მზღვეველის მიერ პროგრამულად გაუქმებული პოლისის ფარგლებში გაცემული მომსახურების ოდენობა სრულად. (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.3 თუ აგენტის მიერ პოლისის რეალიზება განხორციელდა 70 (სამოცდაათი) წლის ან 70 (სამოცდაათი) წელს ზევით ასაკის პირებზე იმ სადაზღვევო პირობებით, რომლებიც სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების თანახმად არ არის გათვალისწინებული ასეთი ასაკის პირთათვის, ხოლო შემდგომ მზღვეველს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება ასეთ პირებზე რეალიზებული პოლისის მიხედვით, აგენტს დაეკისრება მზღვეველისათვის ასეთი თანხების ანაზღაურების ვალდებულება.

5. რეალიზებული სადაზღვევო პოლისების გაუქმებისა და სადაზღვევო პრემიის დაბრუნების წესი

5.1 სადაზღვევო პოლისის გაუქმება დაზღვეულის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე ასევე სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ.

5.2 სადაზღვევო პოლისის ვადამდე გაუქმებას და გაუქმებული სადაზღვევო პოლისის ფარგლებში პრემიის დაბრუნებას ახორციელებს აგენტი.

5.3 სადაზღვევო პოლისის გაუქმება ხორციელდება შემდეგი მიზეზების არსებობისას მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება

ბ) მივლინების გაუქმება

გ) სხვა გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის მოგზაურობას

ალექსანდრე ანასტასიაძე

მზღვეველი ______________________ ______________________ აგენტი

დ) უარი ვიზის გაცემაზე

ე) უარი ქვეყანაში შესვლაზე (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოიაზრებს პოლისში მითითებულ ქვეყანაში შესვლაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის/ორგანოს მიერ უარის თქმას).

ვ) ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, დამზღვევის/დაზღვეულის ინიციატივით, ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მზღვეველის ერთობლივად ყველა საკონტაქტო ელ.ფოსტაზე მოთხოვნის გაგზავნის გზით. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ წარმოიშობა, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე პირდაპირ და მკაფიოდ მოთხოვნილია მომსახურების მიღება ან/და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამ პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია ან/და სადაზღვევო პრემიის ოდენობა არ აღემატება 30 ლარს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში აგენტს უნდა წარედგინოს:

ა) დაზღვეული პირის პასპორტი

ბ) ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N100)

მივლინების გაუქმებისას აგენტს უნდა წარედგინოს:

ა) დაზღვეულის პირის პასპორტი

ბ) დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობა, მივლინების გაუქმების თაობაზე

სხვა გარემოებისას აგენტს უნდა წარედგინოს:

ა) განცხადება პოლისის გაუქმების შესახებ და დაზღვეული პირის პასპორტი

ბ) პოლისის გაუქმების მიზეზის შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი

ვიზაზე უარის შემთხვევაში აგენტს უნდა წარედგინოს:

ა) საელჩოს ცნობა ვიზაზე უარის თქმის თაობაზე

ბ) დაზღვეული პირის პასპორტი

ქვეყანაში შესვლაზე უარის შემთხვევაში აგენტს უნდა წარედგინოს:

ა) დაზღვეული პირის პასპორტი

ბ) ცნობა, ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში მზღვეველს უნდა წარედგინოს:

ა) გაუქმების განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან ერთად მზღვეველის ვებ.გვერდზე.

იმ შემთხვევაში თუ პოლისის გაუქმება მოთხოვნილია პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე და პოლისის გაუქმება ხორციელდება წინამდებარე პუნქტში მითითებული რომელიმე საფუძვლით, შესაბამისი პოლისის ფარგლებში გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად ექვემდებარება დაბრუნებას, (მზღვეველის მიერ გაღებული ხარჯების გამოკლებით) ხოლო იმ შემთვევაში თუ პოლისის გაუქმება მოთხოვნილია პოლისში მითითებული პერიოდის დაწყების შემდეგ, წინამდებარე პუნქტში მითითებული რომელიმე საფუძვლით, დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით დადგენილი წესების შესაბამისად.

5.3.1 პოლისის გაუქმებისას, აგენტი ვალდებულია ჩამოთვლილი დოკუმენტები ატვირთოს პორტალში, პოლისის გაუქმების თითოეულ ჯერზე პორტალში მიეთითება აგენტის მიერ დაზღვეულისათვის დასაბრუნებელი პრემიის ოდენობა, იმის მიხედვით თუ როდის (სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე თუ სადაზღვევი პერიოდის დაწყების შემდეგ) ხორციელდება პოლისის გაუქმება.

	ალექსანდრე ანესიამიძე
მზღვეველი	აგენტი

5.4 აგენტის მიერ დაზღვეულისათვის დაბრუნებული სადაზღვევო პრემია მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება მზღვეველის მიერ აგენტისათვის დაბრუნებას, თუ პოლისის გაუქმებისას პორტალში ატვირთულია გაუქმებისა და პრემიის დაბრუნებისათვის წინამდებარე ხელშეკურლების 5.3 პუნქტში, კონკრეტული შემთხვევისათვის განკუთვნილი დოკუმენტები სრულად და დოკუმენტების შესწავლის შედეგად, პოლისის გაუქმების საფუძველი/მიზეზი მზღვეველის მიერ მიჩნეულ იქნა საპატიო მიზეზად.

5.5 იმ შემთხვევაში თუ მზღვეველის მიერ პოლისის გაუქმების მიზეზი არ იქნა მიჩნეული საპატიო მიზეზად ან/და 5.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები სრულად არ არის ატვირთული, პოლისის ფარგლებში მიღებული პრემია არ ექვემდებარება აგენტისათვის დაბრუნებას.

6 ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა.

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორების თარიღიდან და ძალაშია მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად შემდგომი ამავე ხანგრძლივობის პერიოდებით, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით არ შეთანხმდებიან შეწყვეტაზე.

7 ექსკლუზიურობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს მომსხურების ექსკლუზიურად გაწევის შესახებ დათქმას.

8 პასუხისმგებლობა ფორსმაჟორული გარემოების მოქმედებისას

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი იყო დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო;

8.2 დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას/ებს, რომელიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომისა და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა შესაძლებლობებს;

8.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო, აღნიშნული გარემოების/ების დადგომიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევი მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მხარეთა ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე განახლდება ფორსმაჟორული მდგომარეობის დასრულების ან აღმოფხვრისთანავე.

9 ხელშეკრულების შეწყვეტის პირობა

9.1 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია მზღვეველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების განხორციელების საფუძველზე.

9.2 მზღვეველი იტოვებს უფლებას ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით დადგენილი ვადის დაუცველად, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში თუ, აგენტი:

- უარს აცხადებს (არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებაზე;
- უხეშად არღვევს მზღვეველის მიერ დადგენილ და მიღებულ საქმიანობის წესებს, არ იცავს პოლისების რელიზაციისათვის განკუთვნილ პროცედურას;
- გათქვამს მზღვეველის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

10. დავების განხილვის წესი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით;

10.2 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. განცხადებები და გარანტიები

11.1 სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ხელმოწერით აგენტი ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ:

11.1.1 სრულად და ამომწურავად იცნობს მზღვეველის ვებ-გვერდზე განთავსებული სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტულ პირობებს,(მათ შორის სტანდარტული პირობების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებს) ასევე აღნიშნული სტანდარტული პირობების შესახებ ინფორმაცია სრულად და ამომწურავად მიაწოდა დაზღვეულს და რომ დაზღვეულს წინამდებარე სტანდარტული პირობების მიმართ არ გააჩნია რაიმე სახის პრეტენზია.

ალექსანდრე აბესიამიძე

_____ _____

მზღვეველი აგენტი

11.1.2 ზედმიწევნით სრულყოფილად აუხსნა და განუმარტა დაზღვეულს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობა და ასევე, ყველა ის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომელიც შესაძლოა, დაეკისროს მათგან გამომდინარე;

11.1.3 მზღვეველისგან/დაზღვეულისგან მიღებული აქვს ყველა აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია რაც საჭიროა სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დაზღვეულის სასარგებლოდ გაფორმებისათვის.

11.1.4 დაზღვევის ხელშეკრულება არ შეიცავს მისთვის ან/და დაზღვეულისათვის ბუნდოვან პირობებს ან უჩვეულო ვალდებულებებს და/ან ჩანაწერს;

11.2 აგენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მან სრულად და ჯეროვნად განუმარტა დაზღვეულს, რომ მის მიერ სამოგზაურო დაზღვევის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად/ფარგლებში.

11.3 მისთვის ცნობილია, რომ პასუხისმგებლობა დაზღვეულის/მზღვეველის წინაშე, არასწორად გაცემულ/გაუქმებულ სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით, ასევე პასუხისმგებლობა სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესახებ არასწორად ან არასრულად მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სრულად ეკისრება მას.

12. მხარეთა შორის შეთანხმებული დამატებითი პირობები.

12.1 აგენტი უფლებამოსილია დაზღვეულის განცხადების საფუძველზე გასცეს ინფორმაცია გაუქმებული (მათ შორის იმ პოლისის შესახებ, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდი ამოწურულია) სადაზღვევო პოლისის შესახებ.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ პორტალში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და რომ ყოველი პოლისის რელიზებისას/გაუქმებისას/პრემიის დაანგარიშებისა თუ დაბრუნებისას იხელმძღვანელებენ პორტალში მითითებული ინფორმაციის მიხედვით.

12.3 ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მზღვეველის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, იმ შემთხვევაში თუ აგენტის მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში სრულად არ განხორციელებულა ანგარიშსწორება, როგორც სადაზღვევო პრემიის ასევე საანგარიშო თვის განმავლობაში დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში, მზღვეველი უფლებამოსილია სრულად ანგარიშსწორებამდე შეუზღუდოს აგენტს პოლისების რეალიზების უფლება.

12.4 აგენტის მიერ პოლისის გაცემა მოიაზრებს, რომ აღნიშნული პოლისის ფარგლებში სადაზღვევო პრემია სრულად არის გადახდილი.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ გააჩნიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული მოცულობით კისრების/აღების და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება, ცოდნა და უნარი და ამ მიზნით მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ლიცენზია, თანხმობა და ნებართვა ნებისმიერი შესაბამისი ფიზიკური თუ იურიდიული, კერძო თუ სახელმწიფო ზედამხედველი/მზრუნველი/მეურვე/მარეგულირებელი პირისგან თუ მმართველი ორგანოსგან/სამსახურისგან.

13.2 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა/ნებისმიერი სახის პირგასამტეხლოს მეორე მხარისათვის დაკისრება, არის შესაბამისი მხარის უფლება და არა ვალდებულება.

13.3 ეს ხელშეკრულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და თანამშრომლებისთვის.

13.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ვადა, უნდა შესრულდეს ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან და სხვა) 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან უქმე დღეს, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირველივე სამუშაო დღეს. ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლის სახით, დასაბრუნებელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.6 ამ ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

13.7 მხარეები თანხმდებიან კორესპონდენცია აწარმოონ მხოლოდ წერილობით ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეთა (საკორესპონდენციო) მისამართზე ან ერთმანეთისთვის წერილობითი ფორმით გაცხადებულ სხვა ნებისმიერ მისამართზე თუ მხარეები კომუნიკაციის სხვა მეთოდზე არ შეთანხმდებიან. ამასთან მხარეები კისრულობენ ვალდებულებას

	ალექსანდრე აბესიამიძე
მზღვეველი	აგენტი

დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს მათი (საკორესპონდენციო) მისამართის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარისათვის, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე განხორციელებული შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად გაგზავნილად და ჩაბარებულად, შეტყობინების გაგზავნის დღის შედეგი დღიდან.

13.8 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; ბ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაზეც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან; გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების (მათ შორის, მზღვეველის შემთხვევაში, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრება მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები) მოთხოვნათა შესაბამისად.

13.9 ხელშეკრულების რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას ამასთან ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

13.10 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.11 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

13.12 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მზღვეველს, ხოლო მეორე აგენტს. ხელშეკრულების განმარტებისას უპირატესობა ექნება ქართულ ვერსიას.

14 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მზღვეველი

სს "სადაზღვევო კომპანია იმედი L"
იურიდიული მისამართი:
თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 53 ა.;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008;
საკონტაქტო ტელ.: +995(32)2922222;
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა: GE02BG0000000845856100GEL;

JSC Insurance Company Imedi L

Digitally signed by JSC Insurance Company Imedi L
DN: cn=JSC Insurance Company Imedi L, 2.5.4.97=NTRGE-204919008, o=..., c=GE
Date: 2026.02.23 11:42:05 +04'00'

ნათია ანასტასიადი
არასამედიცინო დაზღვევისა და საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი

აგენტი

შპს „ტპგ კორპორაცია"
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელვაჩაური, მე-6 ქუჩის II ჩიხი, N1გ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 448431803
საკონტაქტო ტელ.: 555 01 99 44
ელ.ფოსტა: [illegible]
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ;
ბანკის კოდი: ;
ა/ა:ს

ალექსანდრე აბესლამიძე

ალექსანდრე აბესლამიძე
დირექტორი

ალექსანდრე აბესლამიძე

მზღვეველი **აგენტი**

სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები : TR/EUR-001/25; TR/EURNON-001/25; TR/WORLD-001/25; TR/WORLDNON-001/25; TR/TREG-001/25; TR/TREG-002/25-ისთვის

Prices are given in GEL

Days	Limit		World Wide deductible 100	World Wide deductible 0	Schengen, EU Countries, deductible 100 EURO	Schengen, EU Countries, deductible 0 EURO	Turkey/Egypt/UAE/Armenia/Azerbaijan/DST countries,deductible100 EURO	Sport insurance	Luggage Loss	Luggage Delay Flight Delay
			50 000 USD	50 000 USD	50 000 Euro	50 000 Euro	15 000 USD			
0-90	Fixed price per day		2.10	2.80	1.40	2.10	1.00	1.25	3.00	11.70
90 >	Fixed price per		1.90	2.60	1.20	1.90	1.00	1.25	3.00	11.70
365	Fixed price per				1.00	-				

Ensuria Technologies OÜ

Hot Line: +3726026560

მეილი: help@ensuria.com

ალექსანდრე ანესიაშვილი